დირექტორის მოადგილის მედეა ცინცაძის ფუნქციები:

- გაუფრთხილდეს სკოლის ქონებას, დაიცვას უსაფრთხოების წესები;
- იზრუნოს სკოლის განვითარებაზე;
- კოორდინირება გაუწიოს იმ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებს, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია კონკრეტულ სასწავლო წელს;
- ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს სადამრიგებლო პროგრამის განხორციელებას. მისცეს მითითებები და დავალებები დამრიგებლებსა და მოსწავლეებს;
- ორგანიზება გაუწიოს საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მოსწავლეთა ჩართულობას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ;
- ხელი შეუწყოს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჩართულობას;
- ყოველდღიურად იზრუნოს სასკოლო დისციპლინის ამაღლებასა და სასკოლო გარემოს გაუმჯობესებაზე;
- ხელმძღვანელობა გაუწიოს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონაწილეობით მოწყობილ იმ ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია სააღმზრდელო პროცესის დახვეწა, სკოლის იმიჯისა და ავტორიტეტის ზრდა, პედაგოგთა და მოსწავლეთა აქტიური დასვენების უზრუნველყოფა და სხვა;
- კომპეტენციის ფარგლებში, შეასრულოს სკოლის დირექტორის დავალებები და მითითებები.
-

მოადგილეებს შორის ფუნქცია-მოვალეობები გამიჯნულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით